

(1999)

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1225 (1999)

1999 წლის 28 იანვარი

უშიშროების საბჭო,

მოიხსენიებს რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, განსაკუთრებით კი 1998 წლის 30 ივლისის (1187) და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1998 წლის 25 ნოემბრის განცხადებას (S/PRST/1998/34).

განიხილა რა გაეროს გენერალური მდივნის 1999 წლის 20 იანვრის მოხსენება (S/1999/60), ითვალისწინებს რა საქართველოს პრეზიდენტის წერილს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი (S/1999/71),

გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას კონფლიქტის ზონაში შექმნილი დამაბული, არასტაბილური სიტუაციითა და ბრძოლების განახლების საშიშროების გამო,

გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოგვარების პროცესის ჩიხში შესვლასა და ამ მდგომარეობის გაგრძელებასთან დაკავშირებით,

მიესალმება რა ამ თვალსაზრისით საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების წვლილს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, აღნიშნავს რა საქართველოში მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალებს შორის ყველა დონეზე კარგ საქმიან ურთიერთობას და უსვამს რა ხაზს მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციის მნიშვნელობას მათი შესაბამისი მანდატის შესრულებაში,

მოიხსენიებს რა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის (S/1997/57 ანნეხ) გადაწყვეტილებას აფხაზეთში, საქართველო, სიტუაციასთან დაკავშირებით,

კვლავ ადასტურებს რა მხარეთა მიერ ადამიანის უფლებათა მკაცრად დაცვის აუცილებლობას, გამოხატავს რა თავის მხარდაჭერას გაეროს გენერალური მდივნის ძალისხმევისადმი, რათა გამოინახოს საშუალებები მათი დაცვის გასაუმჯობესებლად, რაც შეადგენს კონფლიქტის საყოველთაო პოლიტიკური მოგვარებისათვის მიმართული საქმიანობის განუყოფელ ნაწილს და აღნიშნავს რა ახალ ელემენტებს აფხაზეთში, საქართველო, გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის საქმიანობაში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1999 წლის 20 იანვრის მოხსენებას;

2. გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ მხარეებმა ათენის 1998 წლის 16-18 ოქტომბრის ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა ორმხრივი შეხვედრის დროს ვერ მიაღწიეს შეთანხმებას უსაფრთხოებისა და ძალის გამოუყენებლობის, ასევე ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის შესახებ და ამ მიზნით დაბეჯითებით მოუწოდებს ორმხრივ მოლაპარაკებათა განახლებისათვის;

3. მოითხოვს, ორივე მხარემ გააღრმავოს გაეროს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა, განაგრძოს დიალოგისაკენ სწრაფვა და დაიწყოს იგი ყველა დონეზე კონტაქტების გაფართოებით, აგრეთვე, გადაუდებლად გამოიჩინონ აუცილებელი ნება მოლაპარაკებათა საკვანძო საკითხებზე მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად; ხაზს უსვამს მხარეების მიერ სწრაფი და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის აუცილებლობას, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ საკითხის მოწესრიგების ჩათვლით, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის საფუძველზე;

4. ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მზადყოფნა და შესაძლებლობა გაუწიოს დახმარება მხარეებს, დამოკიდებულია მათს პოლიტიკურ ნებაზე, მოაწესრიგონ კონფლიქტი დიალოგისა და ურთიერთდათმობათა საფუძველზე, აგრეთვე, მათს კეთილსინდისიერ მოქმედებაზე კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის გადაუდებელი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

5. დაბეჯითებით მხარს უჭერს გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, ასევე, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისა და ეუთოს ძალისხმევას თავიდან აიცილონ შეიარაღებული შეტაკებები და შესძინონ გაეროს ფარ-

გლებში სამშვიდობო მოლაპარაკებებს ახალი იმპულსი, რათა მიღწეულ იქნეს ვითარების ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარება, და მიესალმება ამ კონტექსტით გენერალური მდივნის განზრახვას გაეროს მეთვალყურეთა მისიის სამოქალაქო კომპონენტის გაძლიერების შესახებ;

6. მოითხოვს ორივე მხარისაგან მკაცრად დაიცვან მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორების შესახებ (S/1994/583, ანნეხ) და შეასრულონ თავიანთი ვალდებულება, რათა თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან და სადავო საკითხები მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ, აგრეთვე, მოუწოდებს მათ გამოიჩინონ მეტი მონდომება და სწრაფვა ერთობლივი საგამომიებო ჯგუფის ასამოქმედებლად;

7. გამოხატავს შეშფოთებას 1998 წლის მაისში საომარ მოქმედებათა შედეგად გამოწვეული ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალი პირების მდგომარეობით, კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა განუყოფელ უფლებას დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს უსაფრთხოების სრული დაცვით, საერთაშორისო სამართლის და 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების შესაბამისად. მოუწოდებს მხარეებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მუშაობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად ეფექტიანი ღონისძიებების შეთანხმებისა და განხორციელების გზით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ლტოლვილთა დაბრუნების უპირობო უფლებას;

8. მიესალმება ამ კონტექსტით გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას ხელი შეუწყოს, პირველი ნაბიჯის სახით, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნებას გალის რაიონში, და მოუწოდებს მხარეებს, ამ მიზნით განაახლონ და გააძლიერონ ორმხრივი დიალოგი;

9. გმობს შეიარაღებული ჯგუფების მოქმედებას, მათ შორის დანადგვის გაგრძელებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მოსახლეობას, აბრკოლებს ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობას, მნიშვნელოვნად აფერხებს გალის რაიონში ვითარების ნორმალიზაციას და სინანულით აღნიშნავს, რომ მხარეები არ მიმართავენ სერიოზულ ძალისხმევას ამგვარი საქმიანობის აღსაკვეთად;

10. კვლავ მოითხოვს ორივე მხარისაგან გადაუდებელი და გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებას, რათა ბოლო მოეღოს ამგვარ ქმედებებს და უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მიესალმება ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებს;

11. ასევე კვლავ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას გაეროს მეთვალყურეთა მისიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მიესალმება ამ მიზნით ღონისძიებების განხორციელებას და სთხოვს გენერალურ მდივანს მუდმივი ყურადღება მიაქციოს გაეროს მეთვალყურეთა მისიის უსაფრთხოების საკითხებს;

12. ადგენს გააგრძელოს გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატი ახალი პერიოდით, რომელიც 1999 წლის 31 ივლისს მთავრდება და ეს მანდატი ექვემდებარება საბჭოს მიერ გადასინჯვას მანდატის ნებისმიერი ცვლილების ან დსთ-ს სამშვიდობო ძალების რეგიონში ყოფნის გამო;

13. სთხოვს გენერალურ მდივანს, გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღებიდან სამი თვის შემდეგ წარმოადგინოს მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, არსებული სიტუაციის შესახებ;

14. გამოხატავს თავის განზრახვას ამ სამანდატო პერიოდის დასრულებისათვის ყოვლისმომცველად მიმოიხილოს მისიის საქმიანობა მხარეების მიერ გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით ყოვლისმომცველი მოწესრიგების მისაწევად;

15. ადგენს აქტიურად იყოს დაკავებული აღნიშნული საკითხით.
[\(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 30, 1999 წლის 4 თებერვალი\)](#)